ქ.თბილისში, ბუხაიძის ქ. # 54-ში (ს/კ 01.16.056.009)

არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი

სარჩევი

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება
2. დასანგრევი შენობების დახასიათება და ნგრევის პირობები
   - გენ-გეგმა
3. ნგრევის ხანგრძლივობის დადგენა
   - დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გეგმა
4. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები
5. დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები
6. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები
7. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების დაცვა
8. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები
9. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენი ნორმატიული ბაზა
10. დანართი (სადემონტაჟო შენობის პროექტი)

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1. სამშენებლო მოედანი განთავსებულია ქ. თბილისში, ბუხაიძის ქ. #54-ში. ამჟამად ნაკვეთზე განთავსებულია 1 ძირითადი ორ-სართულიანი შენობა და 1 ფარდული, რომლებიც საჭიროებს დემონტაჟს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დემონტაჟის პროცესის სრულ დასრულებამდე ფარდული გამოყენებული იქნება , როგორც დამხმარე შენობა-ნაგებობა მიმდინარე პროცესების საჭიროებისამებრ.

1.2. ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო კომუნიკაციების - წყალსადენის, კანალიზაციის. სატელეფონო და დაბალი ძაბვის ქსელების არსებობის შემთხვევაში, ნაგებობის დემონტაჟის წინ აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით.

1.3. ტერიტორიაზე დემონტაჟის დაწყებამდე შემოიღობოს დროებითი ღობით. ფარდულის ტიპის შენობა - ნაგებობა გასუფთავდეს წინასწარ არსებული ნარჩენებისა და ნაგვისაგან და დემონტაჟის პროცესის მიმდინარეობისას გამოყენებულ იქნეს დროებით დამხმარე შენობა- ნაგებობად. აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით მოეწყოს დროებითი დამხმარე შენობა-ნაგებობაც. ასევე დაცული უნდა იყოს ღონისიებები მტვრის გაბნევისაგან, ამიტომ დაშლის ადგილები სასურველია დაინამოს.

2. დასანგრევი შენობის დახასიათება და დანგრევის პირობები

2.1. ტექნიკური მაჩვენებლები შემდეგია:

დასანგრევი შენობა- ნაგებობა # 1 რეესტრში რეგისტრირებული მონაცემის თანახმად 118,31 კვ.მ. , სარდაფი ფართობით 79,30 კვ.მ.
დასანგრევი #1 შენობის ფართი გარე კონტურზე - 214,70 კვ.მ. სარდაფის ფართი გარე კონტურზე - 139,35 კვ.მ.
მთლიანი შენობის სავარაუდო მოცულობა - 1127,65 კუბი
დამხმარე ფარდული - ფართი გარე კონტურზე - 46,72 კვ.მ.
სავარაუდო მოცულობა - 126 კუბი


2.2. დემონტირებული კონსტრუქციები და მასალები დემონტაჟის პროცესშივე დაიტვირთება ავტოთვითმცლელზე და გატანილი იქნება სამშენებლო მოედნიდა სამშენებლო ნაგავ-საყრელზე.

სამსახურის უფროსი

საქართველო
ქ. თბილისის მერია
სსიპ. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

სიტუაციური გეგმა

განყოფილ. უფროსი		
მთავარი სპეც.		



შენიშვნა: 1) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციების ნარმომადგენლებს

3. ნგრევის ხანგრძლივობის დადგენა

3.1. დამკვეთთან შეთანხმებით დადგინდა დემონტაჟის გეგმიური ხანგრძლივობა 6 თვის პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პერიოდში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ასევე კარგმა კლიმატურმა პირობებმა.

3.2. აღნიშნულის საფუძველზე შედგა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი (იხ. დანართი #1 - საპროექტო ნაწილი , სადაც მოცემულია სამუშაოების განხორციელების კალენდარული გრაფიკიც).

4. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. წინამდებარე მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ხონისძიებათა დაცვით.

4.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება დემონტაჟზე;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- ტოპო-გეგმა; საკადასტრო რუკა;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- არსებული ფოტო-მასალა.

4.3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

4.4. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსება, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდამ , აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

ყველა ზემოთ მოხსენიებული წესის დაცვის შემდეგ უნდა მოხდეს დაშლის დაწყება დროებითი ღობის შიგნით.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს მიმდევრობითი მეთოდით ზემოდან ქვემოთ და სათანადო კომისიის დასწრებით. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლითა და სათვალეებით, ნაგვიის გატანა სპეციალური ავტოთვითმცლელების მეშვეობით. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

სასურველია სამუშაოების დაწყებისას ტერიტორია გაიწმინდოს არსებული ნაგავისაგან, ხოლო დემონტაჟი დაიწყოს ბოლოდან . ამის შემდგომ კი მოხდება მათი გატანა სამშენებლო მოედნიდან.

დაინგრევა არსებული ორ-სართულიანი ნაგებობა, თავდაპირველად მოხდება შენობიდან კარ-ფანჯრების მოხსნა, მერე სახურავის მოხსნა და ბოლოს კედლების დემონტაჟი, შემდეგ დატვირთვა ა/მ და გატანა სამშენებლო მოედნიდან. ანალოგიურად დაინგრევა ეზოში არსებული დანარჩენი 2 დამხმარე ერთსართულიანი ნაგებობები და ფარდული.

სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანა მოხდება ავტოთვითმცლელებით.

4.5. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით , ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

4.6. დაშლა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

5. დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები

5.1. მშენებლობის ორგანიზაცია და სადემონტაჟი სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

5.2. სადემონტაჟო სამუშაოებათა წარმოების დროს დაცული უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს.

5.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე , 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო და სადემონტაჟო სამუშაოების შესრულების პროცესში.

ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირეული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებების კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს, მაგალითად, თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ, მას აუცილებელი გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

6. რეკომენტიდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები , მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. დემონტაჟის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი შემდეგნაირია:

1. მობილური ამწე - 1 ც (საჭიროების შემთხვევაში)
2. საკომპრესორო დანადგარი - 2 ც
3. სანგრევი ჩაქუჩები - 20 ც
4. ლითონის ელექტრომჭრელი - 3 ც
5. ექსკავატორი 0,5 კბმ ჩამჩის ტევადობით - 1 ც (საჭიროების შემთხვევაში)
6. სპეცტრანსპორტი ავტოთვითმცლელები 10 ტ-იანი
7. შედუღების აპარატი - 1 ც
8. სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა - ინსტრუმენტები : ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და ა.შ. - კომპ. საჭირეობიდან გამომდინარე

6.2. რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს საჭიროებისამებრ ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

7. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „ სნ და წ III-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატიულ- საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. ამათგან განსაკუთრებით ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

7.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.2. მაღალ სადემონტაჟო სიმაღლეზე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ასვლისათვის უნდა დაიდგას ინვენტარიული კიბეები ყოველ 25-30 მეტრზე და მოეწყოს ხარაჩოები.

7.3. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

7.4. სამუშაოეზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელსა და თავსაბურავებს.

7.5. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ეტექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.6. საჭიროების შემთხვევაში სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურურულ კარადაში, მრიცხველი დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

8. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

8.1. დემონტაჟისას აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებში.

8.2. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.3. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზან-შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებით ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

8.4. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე შენობათა დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და დოკუმენტების შესაბამისობით.

9. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატიული ბაზა

9.1. სნ და წ 3. 0.1. 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

9.2. სნ და წ 1. 0.4. 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე“

9.3. კრებული „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან“. ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი.

9.4. სნ და წ III – 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“.

დანართი # 1

საპროექტო ნაწილი